სს. კოდი: 010250020.35.121.016385

გამოქვეყნების თარიღი: 27.12.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N30

2019 წლის 25 დეკემბერი

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი1

დამტკიცდეს „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა“ (დანართი N 1).

მუხლი 2

დამტკიცდეს „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“ (დანართი N 2).

მუხლი 3

დამტკიცდეს „სამედიცინო დახმარების პროგრამა“ (დანართი N 3).

მუხლი 4

დამტკიცდეს „დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 4).

მუხლი 5

დამტკიცდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა“ (დანართი N 5).

მუხლი 6

დამტკიცდეს „მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“ (დანართი N 6).

მუხლი 7

დამტკიცდეს „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 7).

მუხლი 8

დამტკიცდეს „დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა“ (დანართი N 8).

მუხლი 9

დამტკიცდეს „ვეტერანთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 9).

მუხლი 10

დამტკიცდეს „მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 10).

მუხლი 11

დამტკიცდეს „სტუდენტთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 11).

მ უხლი 12

დამტკიცდეს „ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 12).

მუხლი 13

დამტკიცდეს „უსახლკაროთა დახმარების პროგრამა“ (დანართი N 13).

მუხლი 14

დამტკიცდეს „სარიტუალო დახმარების პროგრამა“ (დანართი N 14)

მუხლი 15

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 127 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 31.12.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016355).

მუხლი 16.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
   ახალშობილთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სტიმულირება.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
   მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა შემდეგი ოდენობით:
   ა) პირველ შვილზე 300 (სამასი) ლარი, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარი, მესამე შვილზე 400 (ოთხასი) ლარი, მეოთხე და ყოველ მომდევნო შვილზე 500 (ხუთასი) ლარი;
   ბ) ტყუპების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე 500 (ხუთასი) ლარი;
   გ) თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-მდეა, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
   ა) სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე არაუგვიანეს 180-ე დღიდან განცხადების შემოტანამდე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში;
   ბ) სავალდებულოა ახალშობილი დაბადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღიდან განცხადების შემოტანამდე ან განცხადების შემოტანამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:
   ა) დახმარება მიეცემა ახალშობილის დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან ახალშობილის ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;
   ბ) დახმარება გაიცემა ახალშობილის ოჯახზე ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე;
   გ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ბავშვის დაბადების მოწმობა, მშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.
   დ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:
   ახალშობილთა ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:
   დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესების მაჩვენებელი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
პროგრამა ითვალისწინებს იმ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარების გაწევას, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა არასრულწლოვანთა ერთ-ერთი მშობელი და არასრულწლოვანი შვილები, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:
ა) დახმარება მიეცემა არასრულწლოვანთა დედას ან მამას, დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან არასრულწლოვანთა ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;
ბ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები, მშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.
გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:
მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:
მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.

სამედიცინო დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა, დახმარების ოდენობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილების გაცემა, გაწეული მომსახურების ღირებულებების ანაზღაურება.

5. დახმარების მიმღებები:
ა) დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 150000-ის ჩათვლით.
ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ისარგებლებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა.

6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო 60 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

7. დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:
ა) მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან, ანგარიშ-ფაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან.
ბ) მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მთხოვნელმა მერის წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ანგარიშ-ფაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან.
გ) სამსახურს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.

8. დახმარების მოცულობის განსაზღვრა:
8.1 დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით.
8.2 პირველ კატეგორიაში შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები;

8.3 მეორე კატეგორიაში შედიან:

ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები;

ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები;

გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები

8.4 მესამე კატეგორიაში შედიან:

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000 - ის ჩათვლით;

ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად და უცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 100000-ის ჩათვლით;

გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები;

8.5 მეოთხე კატეგორიაში შედიან:

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 150000 -ის ჩათვლით;

ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) 75 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები.

8.6 მეხუთე კატეგორიაში შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე.

8.7 პირველ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიის ბენეფიციარებს უფლება აქვთ ლიმიტით განსაზღვრული თანხა გამოიყენონ ძირითადი დაავადების სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად, ექიმის მიერ გაწერილი რეცეპტისა და ფარმაცევტული დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8.8 მეორე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს 8.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 8.3 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 700 (შვიდას) ლარს.

8.9 მესამე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მათთვის ორსულობის, საკეისრო კვეთის ან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარით, თუ მათ გადასახდელ თანხაში არ შედის ექიმის ან სამშობიარო სახლის არჩევით გამოწვეული ხარჯები.

8.10 მეოთხე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.11 მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.12 თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 % - ით, არაუმეტეს 2000 ლარისა.

9. ანგარიშსწორების წესი:

ანგარიშსწორება განხორციელდება უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებებზე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

10. პროგრამით არ დაფინანსდება:

ა) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

ბ) სანატორიულ-კურორტული მომსახურება;

გ) კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული ესთეტიკური ქირურგიის ხარჯები;

დ) ორსულობა, საკეისრო კვეთა და ფიზიოლოგიური მშობიარობა;

ე) ალკოჰოლიზმით, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედებით გამოწვეული და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა;

ვ) იმ პაციენტების მკურნალობა, რომელთა სამედიცინო მომსახურების საფასური გადახდილია.

11. მოსალოდნელი შედეგი:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სიკვდილიანობის, დაავადებების შემცირება.

12. შეფასების კრიტერიუმი:

პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართა მიზნობრივი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ზრდა.

დანართი 4

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3 პროგრამის მიზანი:
დიალიზის სახელმწიფო პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულებისა (რაიონიდან სამედიცინო დაწესებულებამდე) და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად ფინანსური დახმარება.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძებად ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ანაზღაურება.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:
ა) პროგრამაში ჩასართავად დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100 და საბანკო რეკვიზიტი.
ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100 ან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობის/მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ყოველკვარტალურად;
გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7 მოსალოდნელი შედეგი:
ბენეფიციარების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:
პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართა მიზნობრივი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ზრდა, ბენეფიციარების სტიმულირება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამა ითვალისწინებს:
ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერად ფინანსური დახმარებას.
ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას.
გ) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.

4. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

5. ფინანსური დახმარების ოდენობა:
ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), 18 წლამდე ასაკის ბავშვებს - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარი.
ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად - 200 (ორასი) ლარი.
გ) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებულ, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს - ყოველთვიურად, 200 (ორასი) ლარი.

6. დამატებითი ინფორმაცია:
ა) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით:
ბ) დახმარება მიეცემა ბენეფიციარს, მისი ოჯახის წევრს, მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს;
გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა და ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან" შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე.
დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობები, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ და საბანკო რეკვიზიტი.

ე) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა და ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა N100.

7. მოსალოდნელი შედეგი:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
   მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა.

4. განსახორციელებული ღონისძიებები:
   მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება და უფასო სასადილოთი მომსახურება.

5. დამატებითი ინფორმაცია:
   ა) დახმარებით (უფასო სასადილო) ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგ. სტრირებული) პირები;
   ბ) დახმარება პროგრამაში ჩართულ ყოველ ბენეფიციარზე გაიცემა დღეში ერთჯერადი კვების სახით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად;
   გ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა (მოწმობები), ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია/შუამდგომლობა და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი მოკვლევისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები.

6. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია ბენეფიციარებზე ან სოციალურად დაუცველ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცეს საკვები პროდუქტები;

7. მოსალოდნელი შედეგი:
   მზრუნველობამოკლებულთა მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმიები:
   დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.

სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ.

4. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები (პირები), რომლებსაც დაუზიანდათ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

5. ხანძრის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.

6. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.

7. საჭიროების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

8. ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით. დახმარების ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 მარტის N 20 370 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

9. მოსალოდნელი შედეგები:
ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური თანადგომა.

10. შეფასების კრიტერიუმი:
პროგრამით მოსარგებლე ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა დღეგრძელისთვის (100 და მეტი წლის ხანდაზმულთათვის) დაბადების დღის მისალოცად ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის დაბადების დღისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:
ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარს ან მისი ოჯახის წევრსა (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს).
ბ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საბანკო რეკვიზიტი. სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:
ხანდაზმულთა მატერიალური და მორალური თანადგომა

8. შეფასების კრიტერიუმი:
დახმარების მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ვეტერანთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა;
ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.
გ) 9 მაისისთვის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა;
დ) 26 აპრილისთვის ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა;
ე) 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა შემდეგი ოდენობით:
ა) დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე 500 (ხუთასი) ლარი;
ბ) სოციალურად დაუცველ ვეტერანზე 300 (სამასი) ლარი;
გ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე 500 (ხუთასი) ლარი;
დ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარი.
ე) 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარი.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა დაღუპული მეომარი (გარდაცვალების მომენტში) და დახმარების მიმღები პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება გაიცემა დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე, საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანზე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებზე, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულებსა ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელზე;

ბ) დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ბ.ა) დაღუპული მეომარის ოჯახის წევრისგან, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, რომ აღნიშნულ პიროვნებას დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია და საბანკო რეკვიზიტები;

ბ.ბ) სოციალურად დაუცველი ვეტერანისგან, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (1 – 100000) და საბანკო რეკვიზიტები;

ბ.გ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანისგან, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები;

ბ.დ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისგან, სამუშაოებში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები;

ბ.ე) 1989 წლის 9 აპრილის აქციაში დაზარალებულისგან, დაზარალებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები.

6. მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციართა მატერიალური და მორალური თანადგომა, მათი ღვაწლის დაფასება.

7. შეფასების კრიტერიუმი:

ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ და პროგრამით ისარგებლებენ მარჩენალ დაკარგულთა შემდეგი კატეგორიები:

ა) სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა;

ბ) მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს;

გ) დედ-მამით ობლები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

ა) სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე - 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბ) მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

გ) დედ-მამით ობლებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა მარჩენალდაკარგული პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარის ოჯახის წევრს ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს.

ბ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მისი პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე და სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის შემთხვევაში, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (სარეიტინგო ქულა).

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგები:

მარჩენალდაკარგული პირების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

მარჩენალდაკარგული პირების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სტუდენტთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
   პროგრამა ითვალისწინებს დახმარების გაწევას ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-100000-მდე სარეიტინგო ქულა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
   შემოსული განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დამატებითი ინფორმაცია:
   დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:
   ა) სოციალურად დაუცველი სტუდენტის მიერ პირადობის მოწმობა, ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (1-100000), ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის სტუდენტი და საბანკო რეკვიზიტი;
   ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის მიერ პირადობის მოწმობა, ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის სტუდენტი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზიდან სტატუსის შესახებ და საბანკო რეკვიზიტი;
   გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6. მოსალოდნელი შედეგები
   ბენეფიციარების მატერიალური და მორალური თანადგომა.

7. შეფასების კრიტერიუმი:
   დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სტიმულირება.

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:
   პროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
   მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
   სავალდებულოა ბენეფიციარი ძალადობის მსხვერპლად აღიარების და განცხადების შემოტანის მომენტში რეგისტრირებული იყოს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:
   ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარს ან მისი ოჯახის წევრს (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს).
   ბ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო რეკვიზიტი.
   გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:
   ძალადობის მსხვერპლთა მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:
   დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სტიმულირება.

უსახლკაროთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია (შემდგომში - კომისია) და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომში - სამსახური).

3. პროგრამის მიზანი:
პროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი"-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას.

4. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ, „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი"-ს მე-4 მუხლით დადგენილი შეფასებისა და რიგითობის პირობების გათვალისწინებით.

5. კომისიის გადაწყვეტილება ვანის მუნიციპალიტეტისთვის არ წარმოშობს უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის პროგრამის ბენეფიციარად რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებლად ჩასმის ვალდებულებას. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის ბინის ქირით უზრუნველყოფა მოხდება კომისიის მიერ დადგენილი რიგითობის გათვალისწინებით, პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად,

6. დამატებითი ინფორმაცია:
ა) საცხოვრებელი ფართის/ბინის მოძიების ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს, რომელიც მესაკუთრესთან/მოსარგებლესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას წარუდგენს სამსახურს.
ბ) ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად:
ბ.ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში;
ბ.ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამაღლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში;
ბ.გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში;
გ) კომისიის გადაწყვეტილების და სამსახურის მიერ მოძიებული დამატებითი მასალების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას ბენეფიციარის აღნიშნულ პროგრამაში არაუმეტეს ორი წლის ვადით ჩასმისა და ქირის განსაზღვრული ოდენობის თაობაზე;
დ) საცხოვრებელ ფართში/ბინაში კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს.

6. მოსალოდნელი შედეგები:
   უსახლკარო ოჯახების მატერიალური თანადგომა;

7. შეფასების კრიტერიუმი:
   უსახლკარო ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სტიმულირება.